# XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ფსიქოლოგიური სოციოლოგია

შესავალი - ფსიქოლოგიზმი და XIX საუკუნის სოციოლოგია.

1. ფსიქოლოგიური ევოლუციონიზმი.
2. ინსტიქტივიზმი.
3. ხალხთა ფსიქოლოგია.
4. ჯგუფის ფსიქოლოგია და მიბაძვის თეორია.
5. ინტერაქციონიზმის აღმოცენება.
6. ფსიქოლოგიური სოციოლოგია ისტორიულ პერსპექტივაში

**საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:**

ფსიქოლოგიზმი, ტელეზისი, სოციოგენია, კოიტუსი, სოციალური ევოლუცია, გვარის კოლექტიური ცნობიერება, სოციალური კლასი, ანტისოციალური კლასი, ხალხთა ფსიქოლოგია, სოციალურ ინსტინქტები, ეროსი, როგორც სიცოცხლის ინსტინქტი და თანატოსი,როგორც სიკვდილისადმი არაცნობიერი მიდრეკილება, ბრბოს ადამიანი, ადაპტაცია- განმეორება - ოპოზიცია, ლოგიკური დუელი, სარკისებური მე-ს კონცეფცია, პირველადი ჯგუფი.

## შესავალი - ფსიქოლოგიზმი და XIX საუკუნის სოციოლოგია.

სოციალურის ბიოლოგიურზე დაყვანის ყველა ცდა, რომელსაც ადგილი XIX -ის 70-იან წლებში ჰქონდა, უსუსური და დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. ბიოლოგიურ-ნატურალისტური თეორიების კრიზისმა სოციოლოგიაში ფსიქოლოგიური ტენდენციების გაძლიერებას ხელი შეუწყო, როგორც უკვე დავინახეთ, ჯერ კიდევ სოციალურ-დარვინიზმში ყალიბდება ახალი ტენდენცია, ხოლო XIX -ის ბოლოს სოციალურის ფსიქოლოგიურზე დაყვანის ტენდენცია საბოლოოდ იმარჯვებს. ფსიქოლოგიური რედუქციონიზმი არ ყოფილა სავსებით პრინციპულად ახალი რამ. "ფსიქოლოგიის უნივერსალურ კანონებზე" და "ადამიანური ბუნების თვისებებზე" ჯერ კიდევ ლოკი, იუმი, ფრანგი განმანათლებლები და ინგლისელი უტილიტარისტები მიუთითებდნენ. კონტთან კამათში მილი ასაბუთებდა, ყველა სოციალური კანონი " ინდივიდუალური ადამიანური ბუნების კანონებზე" დაიყვანება. " საზოგადოებაში გარეთიანებისას ადამიანები რაღაც სხვა არსებები არ ხდებიან, რომლებსაც სხვა

თავისებები აქვთ... საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანები მხოლოდ ისეთ თვისებებს ფლობენ, რომლებიც ცალკეული ადამიანების ბუნებიდან _ მისი რაობის კანონებიდან გამომდინარეობენ და რომლებიც შესაძლებელია მათზევე დავიყვანოთ". ამიტომ სოციოლოგიას როგორც მეცნიერებას "ადამიანთა მასების მოქმედებათა და იმ მოვლეენათა შესახებ, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას შეადგენენ", მათი აზრით _ საფუძვლად ფსიქოლოგია უნდა ედოს.

XIX -ის I ნახევრის დასასრულს ფსიქოლოგია მთლიანად ინდივიდის ფსიქოლოგია იყო. ის სოციალურ ფაქტორებს და კოლექტიური ცნობიერების სპეციფიკას მხედველობაში არ იღებდა. ჯ. მილის, ი. ტენის და სხვათა მცდელობანი ინდივიდის ფსიქოლოგიაზე დაეყვანათ სოციოლოგია, პრაქტიკულად სოციოლოგიის ინდივიდუალური ფსიქიკის აბსტრაქტულ კანონებზე დაყვანას ნიშნავდა, მაგრამ უკვე სოციალ - დარვინისტებმა (ბეჯჰოტი, სმოლი, სამნერი) მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანთა სოციალური ურთიერთქმედება კოლექტიური ცნობიერების სპეციფიკურ ფორმებს - ადათ-წესებს, ზნე - ჩვეულებებს, ტრადიციებს ქმნის, როგორია ამ მოვლენათა რაობა, როგორი კანონებით ვრცელდებიან ისინი? შეიძლება თუ არა ვწვდეთ მათ ტრადიციული ფსიქოლოგიით თუ მათ ასახსნელად საჭიროა და აუცილებელია სხვა სოციალური ფსიქოლოგია? აქ ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ XIX -ის დასაწყისის ფსიქოლოგია ინდივიდუალისტური იყო და ანგარიშს არ უწევდა სოციალურ პროცესებს, მაშინ XIX -ის უკანასკნელ ათწლეულში მდგომარეობა იცვლება. ერთის მხრივ, ფსიქოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების დაყვანა ფიზიოლოგიურ პროცესებზე შეუძლებელია, რომ აქ აუცილებელია რთული სოციალური ფაქტორების გათვალისწინება. მეორეს მხრივ სოციოლოგებმა, რომლებსაც პრიმიტიული ბიოორგანული ანალოგიები არ აკმაყოფილებდათ, სოციალურ მოქმედებათა და ქცევათა მოტივაციის ფსიქოლოგიური მექანიზმის პრობლემებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ამ ორი ურთიერთშემხვედრი მოძრაობის შედეგად ჩამოყალიბდა ის, რასაც დღეს პირობითად ფსიქოლოგიურ მიმართულებას უწოდებენ სოციოლოგიაში. ეს მიმართულება სრულებითაც არ არის რაღაც ერთიანი მთელი. ერთადერთი, რაც ამ მიმართულების წარმომადგენლებს ახასიათებთ სოციალურის ფსიქოლოგიურზე დაყვანის მისწრაფებაა, მაგრამ საკითხავია მხოლოდ ის, რომ თუ რა უნდა გვესმოდეს ფსიქიკურის ცნების ქვეშ - აბსტრაქტული იდეები, ინტერესები თუ ირაციონალური ინსტინქტები და იმპულსები - იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის პრობლემები და ამხსნელი კატეგორიებია გამოყენებული სოციალური ბუნების გასაგებად, შეიძლება ამ მიმართულებაში რამდენიმე მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი განშტოებანი გამოვყოთ:

1. **ფსიქოლოგიური ევოლუციონიზმი**

წარმომადგენლები (ამერიკელი სოციოლოგები): ლესტერ ფრანკ უორდი 1841-1913; ფრანკლინ ჰენრი გიდინქსი 1855-1931

2. **ინსტიქტივიზმი**

წარმომადგენლები: ინგლისელები მაკდუგოლი 1871-1938; უილფრიდ ტროტერი 1872-1939; ავსტრიელი ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი 1856-1939;

3. **ხალხთა ფსიქოლოგია**

წარმომადგენლები: გერმანელები მ. ლაცარუსი 1824-1903, ჰაინემან შტაიენტალი 1823-1895; ვილჰელმ ვუნდტი 1832-1820;

4. **ჯგუფის ფსიქოლოგია და მიბაძვის თეორია**

წარმომადგენლები: გუსტავ ლებონი 1841-1931; გაბრიელ დე ტარდი 1864-1929

5. **ინტერაქციონიზმის წარმოშობა**

წარმომადგენლები: ამერიკელები ჯეიმს მარკ ბოლდუინი 1861-1934; ჩარლზ ჰორტონ კული 1864-1929

მოკლედ გავაანალიზოთ თითოეული მათგანის არსებითი მომენტები

## 1. ფსიქოლოგიური ევოლუციონიზმი



სოციალურ პროცესთა ახსნა ბიოლოგიურ ევოლუციონიზმთან და მის იდეებთან კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტას არ მოითხოვდა. უწინარეს ყოვლისა, ბჭობა ეხებოდა იმას, რომ ევოლუციური სქემა საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების ფსიქოლოგიური მექანიზმების შესწავლით "შეევსოთ". უორდი და გიდინქსი საზოგადოების განვითარებას განიხილავდნენ, როგორც კოსმოსური ევოლუციის ნაწილს, რომლის ყოველი მომდევნო საფეხური თავის თავში წინამავალ საფეხურთა მიღწევებს აკუმულაციას უკეთებს. თუ ბიოლოგიური ევოლუციონიზმის მომხრეები სოციალურ ევოლუციას ბიოლოგიური ევოლუციის უშუალო გაგრძელებად და შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ და ამ ევოლუციაში

სტიქიურობასა და ავტომატიზმის ნიშნებს უსვამდნენ ხაზს, მაშინ ფსიქოევოლუციონისტები საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა გართულებაში აქტიური ცნობიერი საწყისის განვითარების რეზულტატს ხედავდნენ და სპენსერისეული "თავისუფალი მეწარმეობის" საპირისპიროდ, სოციალური პროცესების გონივრული მართვის ლოზუნგს იყენებენ. თავის ძირითად შრომაში "დინამიკური სოციოლოგია" ლ. უორდი ამტკიცებდა, რომ ადამიანის წარმოქმნის მომენტიდან თავდაპირველი ერთიანი ევოლუცია ორდება და სტიქიურ ძალთა სპონტანური განვითარება, რომელსაც იგი გენეზისს უწოდებს, განსაზღვრული მიზნების მიმდევარი ადამიანის გაცნობიერებული მოქმედებით ივსება. ევოლუციის ამ ცნობიერ მხარეს უორდი ტელეზისს /ტელე – მიზანი/ უწოდებს. ევოლუციის კიბის უმაღლესი საფეხურია სოციოგენია - ყველა ბუნებრივ ძალთა სინთეზი, რომლებიც კოსმოგენეზის - ბიოგენეზის და ანთროპოგენეზის პროცესში ჩამოყალიბდნენ. ამ ახალი სოციალური რეალობის სპეციფიკას სწორედ გრძნობებისა და მიზნების არსებობა განაპირობებს, რომლებიც ბრმა ბუნებრივი ძალების მოქმედებისას არ არსებობენ. ეს ახალი ფაქტორები გენეტიკურ-მიზანმოკლებულ ბუნებრივ პროცესებს, მიზნობრივ-ტელოსურ ანუ სოციალურ პროცესებად თანდათანობით გარდაქმნიან, რომელთაც უკვე ადამიანის მიზანდასახული მოქმედების ფორმა აქვთ. შესაბამისად უორდი ერთმანეთისაგან მიჯნავს "ბუნებრივ" და სოციალურ პროგრესს, რომელიც ადამიანთა აქტიურ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ისტორიული განვითარების სუბიექტური მხარეებისადმი ინტერესმა უორდი აიძულა საზოგადოების მომყვანი ფსიქოლოგიური მოტივები გაეანალიზებინა. საზოგადოების განვითარების გაგების გასაღებს იგი ფსიქოლოგიური ბუნების მქონე განსხვავებულ "სოციალურ ძალთა" ურთიერთგავლენაში ხედავს.

სოციალური ძალები - მისი აზრით – ეს იგივე ფსიქიკური ძალებია, რომლებიც ადამიანთა კოლექტიურ მდგომარეობაში მოქმედებენ." შესაბამისად სოციალური ინსტიტუტები უფრო ფსიქიკური, ვიდრე ვიტალურ ძალთა განვითარების რეზულტატია, ამიტომ სოციოლოგიის საფუძველი არა ბიოლოგია, არამედ ფსიქოლოგია უნდა იყოს. უორდის მიხედვით, პირველადი სოციალური ძალებია: სურვილები, კერძოდ შიმშილი და წყურვილი, რომელიც ინდივიდის სიცოცხლის შენარჩუნებასთანაა დაკავშირებული და სექსუალური მისწრაფება, რომელიც ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას უზრუნველყოფენ. უორდი ფიქრობს, რომ გრძნობები უფრო დიდი დინამიკური ძალისაა, ვიდრე გონება, რადგან "ყველა დიდ მოძრაობებს ისტორიაში წინ უსწრებდა და თან ახლდა ძლიერი გრძნობები და ის ადამიანები, რომელთაც ყველაზე ძლიერი ძლიერი გრძნობები ჰქონდათ, საზოგადოების ხასიათსა და ცხოვრების წესზე უდიდეს გავლენას ახდენდნენ. წმინდა ინტელექტი არასდროს არაა საკმარისი იმისათვის, რათა ადამიანთა სიმრავლე ადგილიდან დაიძრას."

სოციალურ ემოციებზე ამგვარი მითითება თავისთავად სწორია, მაგრამ ასეთი დაპირისპირება გრძნობებსა და ინტელექტს შორის დაუსაბუთებელია. თანაც გრძნობებსა და სურვილებს იგი აბსტრაქტულად-არაისტორიულად განიხილავს, თავისი ეპოქის ადამიანის სპეციფიკური ნიშნები და თვისებები საყოველთაო ჭეშმარიტების რანგში აყავს, მაგალითად, უორდისათვის დამახასიათებელია, რომ იგი შრომას არაბუნებრივ და მძიმე მოვალეობად თვლის, რომელიც მხოლოდ გარეგანი აუცილებლობითაა განპირობებული, მაგრამ საკუთრებას და გამდიდრებისაკენ მისწრაფებას, თუმცა მათ უარყოფით მორალურ შედეგებს აღიარებს კიდეც, საზოგადოებრივი განვითარების შეუცვლელ სტიმულებად მიიჩნევს, რამდენადაც ისინი თითქოსდა ადამიანური ცნობიერებისათვის დამახასიათებელ იმანენტურ ეგოიზმთანაა დაკავშირებული.

გარდა მატერიალური რიგის სურვილებისა, იგი აგრეთვე მრავალრიცხოვან ესთეტიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ სურვილებს განიხილავს. ასე მაგალითად, ისტორიულ პროცესის ინტელექტუალური ძალები, უორდის აზრით, ცოდნის შეძენის, ჭეშმარიტების აღმოჩენის და ინფორმაციის გაცემის სურვილებისაგან ყალიბდებიან, მაგრამ სოციალური პროცესის აბსტრაქტულ "ფსიქოლოგიურ სურვილებზე" დაყვანა, ისე ცოტა რამეს გვაძლევს მის გასაგებად, როგორც "არსებობისათვის ბრძოლა".

საზოგადოებრივი პროგრესი, უორდის მიხედვით, სამ ძირითად პრინციპს ექვემდებარება: ინდივიდუმთა და კულტურათა პოტენციალის განსხვავება მუდამ იწვევს ურთიერთგავლენას, რის შედეგადაც ხდება "შემოქმედებითი სინთეზი" და წარმოიქმნება რაღაც თვისებრივად ახალი. განახლება, რომელიც ცოცხალ ბუნებაში ატარებს მუტაციის (ახალი ნიშნის გამოვლენის მყისიერება) ხასიათს საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი გამოგონებათა ფორმით ვლინდება. ბოლოს კოიტუსს (**coitus**-ძალისხმევა-მისწრაფება), სურვილთა დასაკმაყოფილებლად საყოველთაო ბრძოლას ახალი რეზულტატების მიღწევასთან მივყავართ, რომლის შესახებაც თვით ამ ხდომილებათა მონაწილეებს ეჭვიც კი არა აქვთ.

ამგვარად, უორდი წინა პლანზე ფსიქოლოგიურ მისწრაფებებისა და იმპულსების გავლენას აყენებს, მაგრამ თვით მისწრაფებებს იგი ნატურალისტური სულისკვეთებით განმარტავს და მათ ახსნას განსაზღვრულ კანონთა ჯამით ცდილობს. სამნერისაგან განსხვავებით, იგი ქადაგებს "მელიორიზმს", ლაპარაკობს კაცობრიობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თაობაზე სოციალური ევოლუციის პროცესში, მაგრამ "მელიორაცია" მასთან გვევლინება ხან როგორც რაღაც მიზნის შედეგი, რომელიც ისტორიული პროცესისათვის იმანენტურია, ხან როგორც ადამიანთა მიერ დაგროვილი ცოდნის შეგნებული გამოყენების შედეგი. გარდა ინდივიდუალური მიზანდასახულობისა, უორდი აგრეთვე "კოლექტიური ტელეზისის" არსებობასაც აღიარებს, რომლის მატარებლადაც სახელმწიფოს თვლის.

ფსიქოლოგიური სოციოლოგიის მეორე სახესხვაობა ფ. გიდინგსის შრომებში "სოციოლოგიის პრინციპები", "ცივილიზაცია და საზოგადოება" გატარებული თვალსაზრისი წარმოადგენს. გიდინგსმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია მისი შეხედულებების საფუძველში მუდამ იდო. სოციოლოგია, გიდინგსის აზრით, - ესაა "მეცნიერება, რომელიც მიისწრაფვის გაიგოს საზოგადოება მთლიანობაში და მის ახსნას კოსმოსურ კანონთა და მიზეზთა საშუალებით ცდილობს". სოციოლოგია საზოგადოების სტრუქტურასა და ელემენტებს და მათი ფუნქციონირების კანონებს, აგრეთვე სოციალურ პროცესსა და ევოლუციის კანონებს აღწერს და თეორიულად განაზოგადებს. პოზიტივისტური ორგანიციზმისაგან გიდინგსმა მექანიციზმი ენერგეტიზმის ფორმით გადაიღო. "სოციალური ევოლუცია კოსმოსური ევოლუციის ერთ-ერთი სახეა, ყოველი სოციალური ძალა შეცვლილი ფიზიკური ძალაა." სავსებით სპენსერული სულისკვეთებით ბჭობს გიდინგსი ენერგიის წონასწორობის, ძალთა მუდმივობისა და ა.შ. შესახებ. მაგრამ იგი ამავე დროს აზუსტებს, რომ საზოგადოება რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ორგანიზმი. "საზოგადოება არის ორგანიზაცია, რომელიც ნაწილობრივ არაცნობიერი ევოლუციითაა შექმნილი, ნაწილობრივ გაცნობიერებული გეგმის რეზულტატია,"ამგვარად. საზოგადოება ესაა, ფიზიკური პროცესებით განპირობებული ფსიქიკური მოვლენა, ამიტომ სოციოლოგიამ თავის თავში როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ახსნა უნდა გააერთიანოს". რამდენადაც გიდინგსი თვლის, რომ "ობიექტური ახსნის სფეროში მთავარი უკვე სპენსერის მიერაა გაკეთებული, ამდენად თავის ყურადღებას საქმის სუბიექტურ მხარეზე, საზოგადოებრივი ცნობიერების პრობლემაზე აფიქსირებს. არც ცალკეული ინდივიდის ცნობიერება და არც ინდივიდებისაგან დამოუკიდებლად არსებული "ეროვნული - ხალხური სული", არამედ "გვარის კოლექტიური ცნობიერება"შედგენს გიდინგსის აზრით, პირველად და ელემენტალურ სუბიექტურ სოციალურ ფაქტს. "ამ სიტყვების ქვეშ - გვიხსნის გიდინგსი - მე ვგულისხმობ ცნობიერების ისეთ მდგომარეობას, რომელ მდგომარეობაშიც ყოველი არსება, როგორი ადგილიც არ უნდა ეკავოს მას ბუნებაში მეორე ცნობიერ არსებას, როგორც თავისი გვარის წარმომადგენელს აღიარებს". თავის "ინდუქციურ სოციოლოგიაში" გიდინგსი გვარის ცნობიერების ხუთ ფორმას განასხვავებს: ორგანულ სიმპათიას, მსგავსების აღქმას, რეფლექსურ სიმპათიას, შეთვისებას-სიყვარულს და აღიარების სურვილს. "გვარის ცნობიერება ანუ "სოციალური გონება არ არის არც დამოუკიდებელი არსება და არც უბრალო აბსტრაქცია". იგი მხოლოდ ინდივიდთა ცნობიერებაში არსებობს და ამავე დროს იგი ყოველგვარ ინდივიდუალურ ცნობიერებაზე მეტია. "სოციალური ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა როგორც გრძნობა ან აზრი, რომელიც ყველა ინდივიდში ერთდროულად

წარმოიშობა ან ერთიდან მეორეზე ვრცელდება მთელ საზოგადოებაში. სოციალური გონება არის მოვლენა აღმოჩენილი მრავალ ინდივიდუალურ გონებათა ურთიერთქმედებაში, რომლებიც ისე ზემოქმედებენ ერთი მეორეზე, რომ ისინი ერთნაირ შეგრძნებებს ან ემოციებს ერთდროულად გრძნობენ, განიცდიან და ერთი და იგივე აზრთან ან შეიძლება თვით შეთანხმებულ მოქმედებასთანაც კი მიდიან. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური გონება მრავალ ინდივიდთა ან ბრბოს სულიერი ერთიანობაა. "სოციალური გონება ნიშნავს გონიერ არსებათა ერთიანობას, რომელიც ცნობიერ ურთიერთქმედებას ერთიმეორეზე შესაძლებელს ხდის, ისე რომ ამავე დროს თითოეული თავის ინდივიდუალობას ინარჩუნებს. არსებითად ბჭობა კოლექტიურ ცნობიერებას ეხება, რომლის პროდუქტებია: საზოგადოებრივი აზრი, კულტურული ტრადიციები, კოლექტიური განწყობილება და სოციალური ღირებულებანი.

არსებითად აქ ბჭობა საზოგადოებრივ ცნობიერებას ეხება, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ სოციალური ჯგუფის-ცნობიერების ერთობა მისი ცხოვრების ობიექტური პირობებისაგან გამოიყვანოს. გიდინგსი ცდილობს, სოციალური პროცესი ინდივიდების ფსიქიკურ რეაქციათა ერთიანობაზე დაიყვანოს. რაც შეეხება ძირეულ სოციალურ პრობლემებს, ისინი ჩრდილში რჩებიან ან სავსებით გადაგვარებულ და დამახინჯებულ ფორმებს იღებენ. საინტერესოა მის მიერ კლასების პრობლემის განმარტება. იგი კლასების ძალიან ფართო ტიპოლოგიას გვაძლევს. იგი სამი მნიშვნელობით ლაპარაკობს კლასებზე:

1. დემოგრაფიული კლასები, რომლებიც ერთმანეთისაგან შობადობისა და სიკვდილიანობის ტემპებით განსხვავდებიან-გამოირჩევიან.
2. "პიროვნებათა კლასები", რომლებიც ნიჭიერების დონის მიხედვით განსხვავდებიან (გენიოსები, ტალანტები, ნორმალურად ნიჭიერი ადამიანები, გონჯები).
3. სოციალური კლასები, არც ეს უკანასკნელი ჯგუფი ხასიათდება ობიექტური ნიშნებით, არამედ ისინი ერთმანეთისაგან ინდივიდებში "გვარის ცნობიერების" განვითარების ხარისხით განსხვავდებიან.

იგი განასხვავებს ოთხ სოციალურ კლასს:

I.ესაა "სოციალური კლასი," რომელიც არსებული საზოგადოებრივი წყობის აქტიურად დამცველი და გამაუმჯობესებელი ადამიანებისაგან შედგება.

II. "არასოციალური კლასი", რომელიც შედგება იმათგან, ვინც ვიწრო ინდივიდუალიზმისაკენ ისწრაფვის და საზოგადოებრივი საქმეებისადმი გულგრილია.

III. "ფსევდოსოციალური კლასი", რომელიც შედგება ღარიბებისაგან, პაუპერებისაგან, რომლებიც ცდილობენ საზოგადოების ხარჯზე იცხოვრონ.

IV. "ანტისოციალური კლასი", რომელიც ინსტინქტური და ჩვეულებრივი დამნაშავეევისაგან შედგება, რომლებშიც გვარის ცნობიერება თითქმის გაქრა და რომლებსაც საზოგადოება და ყველა მისი დაწესებულებანი სძულთ. მაგრამ აქვე ისმება კითხვა რატომაა, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს სხვადასხვაგვარად აქვთ

განვითარებული "გვარის ცნობიერება", განსაზღვრული საზოგადოებისადმი საკუთარი მიკუთვნებულობის გრძნობა? იმიტომ ხომ, არა, რომ არაერთგვაროვანია მათი ობიექტური მდგომარეობა, მათი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი? ერთია - ადამიანები, რომელთა გაბატონებული ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში და ცხოვრების მეპატრონეებად გრძნობენ თავს, ისინი რასაკვირველია, დაინტერესებულნი იქნებიან არსებული წყობის გამაგრებით, განმტკიცებით, რაც გამოიხატება კიდეც მათ "გვარის ცნობიერებაში." მეორეა გაღატაკებული, დევნილნი, რომელთა მიმართებაშიც ოფიციალური საზოგადოება, როგორც მტრული ძალა გვევლინება და რომლებიც მას მათი საკუთარი ჯგუფის ინტერესების გამომხატველი სოლიდარობის ნორმებს უპირისპირებენ.

თავის გვიანდელ ნაწერებში , ბიჰევიორიზმის და პოზიტივიზმის უახლესი ფორმების გავლენით გიდინგსი შეეცადა თავისი თეორია რაოდენობრივ მეთოდთა ფუნდამენტზე დაეფუძნებინა. საზოგადოებრივი ცხოვრების ინდივიდთაშორის ურთიერთობებზე დაყვანით , მან ხაზი გაუსვა იმას, რომ "პლურალისტური მოქმედება" (ე.ი. მასტიმულირებელ სიტუაციაზე ადამიანთა ჯგუფის რეაქცია) სტატისტიკურად უნდა იქნას შესწავლილი. "პლურალისტური მოქმედება", - წერდა იგი - საზოგადოების ფსიქოლოგიის სხვაგვარად სოციოლოგიის შესწავლის საგანი, რომელიც თავისი მეთოდით სტატისტიკურია და რომელიც ცდილობს პირველი, დაანაწევროს – დაშალოს პლურალისტური მოქმედებანი  და განმაპირობებელ ფაქტორებზე დაიყვანოს და მეორე, ახსნას მისი გენეზისი, ინტეგრაცია, დიფერენციაცია და ფუნქციონირება მათი ცვლად ტერმინებში გამოხატვის მეშვეობით”.  ამ ფორმულირებაში თანამედროვე სოციოლოგიური პოზიტივიზმის თვისებები და ნიშნები, მისთვის დამახასიათებელი კვლევის რაოდენობრივი მეთოდებით უკვე ნათლად ჩანს.

## 2. ინსტიქტივიზმი

სოციოლოგიური აზრის ისტორიაში ფსიქოლოგიურმა ევოლუციონიზმმა შესამჩნევი კვალი ვერ დატოვა, გაცილებით გავლენიანი ინსტინქტივიზმი აღმოჩნდა. "სოციალურ ინსტინქტთა" პრობლემა XIX – ში წარმოიშვა. რამდენადაც ფსიქოლოგია ცდილობდა საზოგადოების სურათი ინდივიდის ნიმუშის მიხედვით აეგო, ამდენად იგი ისწრაფვოდა შიდა პიროვნული ფსიქიკური დეტერმინანტი, (განმსაზღვრელი)  ან დეტერმინანტთა მთელი რიგი ეპოვა, რომელთა მეშეობითაც ერთდროულად როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მოქმედებებისა და ქცევების ახსნა შესაძლებელი გახდებოდა.

განმანათლებლური ტრადიცია უპირატესად იყენებდა ადამიანის "რაციონალურ" მოდელს და ადამიანის ქცევები გონებრივი გაანგარიშების და  სარგებლიანობის მოსაზრებებიდან გამოყავდა, რომანტიკოსები კი პირიქით, ადამიანთა ქცევების

ახსნისას ხაზს ემოციურ - ინსტინქტურ საწყისებს, ბიოლოგიური ირაციონალური ფაქტორების ზეგავლენას უსვამდნენ. განმანათლებლური რაციონალიზმი თავისი გულუბრყვილო ოპტიმიზმით სერიოზულად იქნა კომპრომეტირებული იმით, რომ მათ მიერ დაპირებული, აღთქმული "გონების სამეფო" უფრო ჰობსისეული "ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ" სამეფოს მსგავსი აღმოჩნდა.

XIXს - ის მეორე ნახევრის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში მკვეთრად ძლიერდება ირაციონალიზმი, ადამიანური ქცევის უპირატესად ირაციონალური არაცნობიერი იმპულსებით ახსნის ტენდენცია, იქნება ეს მაქს შტირნერის "ეგოიზმი" თუ ფრიდრიჰ ნიცშეს "ძალაუფლების ნება". ერთის მხრივ, ბიოლოგია, რომელიც ხსნიდა და არკვევდა ცხოველთა ინსტინქტური საქმიანობის მექანიზმებს, თითქოს ამ ტენდენციას ბუნებისმეცნიერულ დასაბუთებას აძლევდა. მეორეს მხრივ, ადამიანური ფსიქიკის ექსპერიმენტალურმა გამოკვლევებმაც მასში ძლიერი არაცნობიერი პროცესებისა და სტრუქტურების არსებობა აჩვენეს. ხმარებაში შემოვიდა განწყობის ცნება, როგორც ცნობიერების განუსაზღვრელ - გაურკვეველი და ანალიზისადმი ცუდად დაქვემდებარებადი მდგომარეობისა, რომელიც გონებრივ ოპერაციებსა და შთაბეჭდილებათა შერჩევასა და დინამიკას არეგულირებს. ჰიპნოზური მდგომარეობების და ფსიქოპათოლოგიის გამოკვლევები მეცნიერთ - არაცნობიერის (ქვეცნობიერის) პრობლემის წინაშე აყენებდა.

ყველაფერი ეს ერთად აღებული ხელს უწყობდა იმას, რომ XIX - ის ბოლოს სოციალური მოვლენებიც ხშირად გაუცნობიერებელი ან პრინციპულად გაუცნობიერებელი „ინსტინქტების", ,,მისწრაფებების" და ,,იმპულსების" ტერმინებით განემარტათ. ამავე დროს ,,ინსტინქტის" ცნება,რომელიც ერთდროულად აღნიშნავდა როგორც ორგანიზმის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს,ისე ქცევის მემკვიდრეობით პროგრამებსა და თვით უბრალო სურვილებსაც კი - ფართო აზრით გამოიყენებოდა. ინდივიდის ბიოლოგიური ინტიქტების გვერდით ,,სოციალურ ინსტინქტებსაც" ეძებენ.

ინსტინქტივიზმის უდიდესი წარმომადგენელი ინგლისელი მაკდუგოლი ყველა სოციალური მეცნიერების თეორიულ საფუძვლად ,,ინსტინქტის ფსიქოლოგიას" თვლიდა. ინსტინქტის ქვეშ მას ესმის ,,თანშობილი ან ბუნებრივი ფსიქოფიზიკური განწყობილება, რომელიც აიძულებს ინდივიდს აღიქვას ან ყურადღება მიაქციოს განსაზღვრულ ობიექტებს და ამავე დროს განიცადოს სპეციფიკური ემოციური აღგზნება და ამ ობიექტთა მიმართ განსაზღვრული სახით იმოქმედოს, ან უკიდურეს შემთხვევაში ამგვარი მოქმედებებისადმი იმპულსი მიიღოს". ყოველ პირად ინსტინქტს, მაკდუგოლის აზრით შეესატყვისება განსაზღვრული ემოცია,რომელიც როგორც თვით ინსტინქტი მარტივი და დაუნაწევრებელია. ასე მაგალითად, სირბილის ინსტინქტს შეესატყვისება შიშის ემოცია,

ცნობისმოყვარეობის ინსტინქტს - გაკვირვების ემოცია, ჩხუბის ინსტინქტს - მრისხანების, რისხვის ემოცია, მშობლიურ ინსტინქტს - სინაზის ემოცია და ა.შ.

ამგვარად, მაკდუგალის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველში ბიოლოგიურ მემკვიდრეობით მიღებული ინსტინქტები ძევს, რომელთაგან თითოეულს შესაბამისი ემოციები თან ახლავს. ყველა საზოგადოებრივი მოვლენისა თუ სოციალური დაწესებულების საფუძველში განსაზღვრული ინსტინქტი ან ინსტინქტთა ჯგუფი ძევს. სქესობრივი და მშობლიური ინსტინქტები ოჯახის საფუძველში ძევს, ხელმოჭერილობისა და მომხვეჭელობის ინსტინქტები სიმდიდრის დაგროვებისა და კერძო საკუთრების წარმოქმნის წანამძღვრებს წარმოადგენენ, ჩხუბის ინსტინქტებს ომებისაკენ მივყავართ. რელიგიის საფუძველში ცნობისმოყვარეობის, თავისდამდაბლების და გაქცევის ინსტინქტთა კომბინაცია ძევს, რომელიც მშობლიური ინსტინქტისათვის დამახასიათებელ ემოციურ რეაქციებთანაა შერწყმული. ყველაზე დიდ სოციალურ მნიშვნელობას იგი ჯოგურ ინსტინქტს ანიჭებდა, რომელიც აკავებს ადამიანებს ერთად და საზოგადოების უმრავლეს ინსტიტუტთა საფუძველში ძევს. ჯოგური ინსტინქტის უშუალო გამოვლენაა - ქალაქთა ზრდა, ადამიანური დასვენებისა და თავისუფალი დროის გატარების კოლექტიური ხასიათი, მასობრივი თავყრილობები და ა.შ.

ავსტრიელი ფსიაქიატრი ზიგმუნდ ფროიდი ადამიანური ქცევის უნივერსალურ დატერმინანტად სქესობრივ ლტოლვას - ლიბიდოს თვლის. დაიწყო რა ინდივიდუალური ფსიქიკის,ნევროზებისა და შინაგანი კონფლიქტების შესწავლით, ფროიდმა შემდეგში დაწყებული შრომიდან ,,ტოტემი და ტაბუ"(1913) თავისი თეორია



აგრეთვე კულტურის ისტორიაზე გაავრცელა. მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომის გამოცდილების საფუძველზე, იგი უკვე ადამიანური ფსიქიკის ორი საწყისის - ეროსის, როგორც სიცოცხლის ინსტინქტისა და თანატოსის,როგორც სიკვდილისადმი არაცნობიერი მიდრეკილების, ბრძოლის შესახებ ლაპარაკობს.

ინსტინქტივიზმა გავლენა ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებაზე იქონია იმით, რომ ფსიქიკის გაუცნობიერებელ - არაცნობიერ კომპონენტებს მიაქცია ყურადღება, მაგრამ თვითონ ინსტინქტივიზმის თეორიული საფუძველი არ იყო მყარი. პიტირიმ სოროკინის სამართლიანი შენიშვნით, ინსტინქტივისტური კონცეფციები რაფირინებული ანიმიზმის სახეს წარმოადგენენ: ,,ადამიანისა და მისი საქმიანობის უკან ისინი ათავსებენ სულებს, უწოდებენ მათ ინსტინქტებს და ყველა მოვლენას როგორც ამ ინსტინქტთა გამოვლენას განმარტავენ". ინსტინქტივიზმი სოციალ - ისტორიული კანონზომიერებებს ინდივიდუალურ - ფსიქოლოგიურით ცვლის და ცდილობს ამ უკანასკნელთ ბიოლოგიური დასაბუთება

მიანიჭოს. ამასთან ერთად, არა მხოლოდ შინაარსი, არამედ თვით ,,საბაზო ინსტინქტების" რიცხვიც კი ერთი ავტორიდან მეორეზე გადასვლისას ვარიაციას განიცდის. თავდაპირველად მაკდუგალი ასახელებდა 11, შემდეგ 14 და ბოლოს 18 ძირითად ინსტინქტს, რომლებსაც მან შემდეგში ბიჰევიორისტების გავლენით ,,მიდრეკილება-მისწრაფებანი" უწოდა. უილიამ ჯეიმსი 38 ინსტინქტს ითვლიდა,ფროიდმა კი ისინი ორზე დაიყვანა.როდესაც 1924 წელს ლისტერ ბერნარდმა გააანალიზა ამ ტერმინების მნიშვნელობა ლიტერატურაში,მან უკვე 15789 ცალკეული ინსტინქტი დაითვალა, რომლებიც შემდეგ 6131 დამოუკიდებელი ,,არსების" ინსტინქტად იქნა დამსხვილებული. მათთან ,,ინსტინქტის" სახელით როგორც განწყობანი, ისე ჩვეულებები, ჩვევები, მოთხოვნილებანი, აფექტები და ფსიქიკური პროცესებიც კი ფიგურირებს.

არაა გასაკვირი, რომ სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის განვითარების კვალობაზე ინსტინქტივიზმის გავლენა ნულამდე ეცემა. გამონაკლისია მხოლოდ ფროიდიზმი, მაგრამ მისი გავლენა სოციოლოგიაზე უფრო გვიან ხდება და ამიტომ მას აქ არ შევეხებით.

## 3. ხალხთა ფსიქოლოგია

ჩვენს მიერ დასახელებული თეორიები სოციალური ქცევის უმარტივეს ,,უჯრედს" ინდივიდის პრაქტიკაში ეძებდნენ და ამ აზრით სუბიექტურ - იდეალისტური იყვნენ, მაგრამ XIX - ის მეცნიერებაში საზოგადოებრივი ცნობიერების ობიექტურ - იდეალისტური განმარტება არსებობდა, რომელსაც ფესვები ,,ობიექტური გონის" ჰეგელიანურ თეორიასა და გერმანელი რომანტ იკოსების ,,სახალხო გონის" კონცეფციაში აქვს გადგმული. ეს კონცეფციები არა იმდენად ფსიქოლოგიას,რამდენადაც ენისა და ლიტერატურის ისტორიას,განსაკუთრებით ფოლკლორს ეყრდნობოდნენ, რომლებმაც კულტურის  განვითარებაში ზეინდივიდუალური ხასიათის ზოგიერთი მყარი,განმეორებადი ელემენტებისა და სტრუქტურების არსებობა დამაჯერებლად აჩვენეს. როგორია ამ ,,სახალხო გონის" ანუ ,,ეროვნული ხასიათის" ბუნება? რომანტიკოსები  მას, როგორც სულიერ-გონით რეალობას განმარტავდნენ. მაგრამ ეს ცნება თანდათანობით მისგან  განსხვავებულ ნატურალისტურ შინაარსს იძენს. იოჰან ჰერბერტის ფსიქოლოგიურ თეორიასთან ენათმეცნიერებისა და ეთნოგრაფიის მონაცემების დაკავშირებისას,გერმანელმა მეცნიერებმა მორიც ლაცარუსმა (1824-1903) და ჰაინემან შტაინტალმა (1823-1895), 1860 წელს განაცხადეს, რომ შექმნეს დისციპლინა - სახელწოდებით ,,ხალხთა ფსიქოლოგია". შტაიენტალის აზრით,თავისი წარმოშობისა და საარსებო გარემოს ერთიანობის წყალობით ,,ამა თუ იმ ხალხის(ერის) და ყველა ინდივიდი თავის სხეულზე და სულზე ხალხის განსაკუთრებული ბუნების კვალსა  და ანაბეჭდს ატარებს", თანაც ,,სხეულებრივ გავლენათა ზემოქმედება სულზე ყველა



ინდივიდში ერთნაირ - გარკვეულ მიდრეკილებებს, ტენდენციებს, განწყობილებებს, გონის თვისებებს იწვევს, რის შედეგადაც ისინი ერთსა და იმავე ეროვნულ გონს ეუფლებიან". შეიძლება ითქვას, რომ ეს იგივე ეროვნული სულია - გონია. ეროვნული-ხალხური გონი მას,როგორც გარკვეული ერის წარმომადგენელ ინდივიდთა ფსიქიკური მსგავსება, ისე მათი თვითცნობიერება ესმის. ეროვნული - ხალხური გონის შინაარსი,, ხალხთა (ერთა) ისტორიული ფსიქოლოგიის" და ,,ფსიქოლოგიური ეთნოლოგიის ჩარჩოებში ამ ხალხთა ენის, მითების, მორალისა და კულტურის შესწავლის დროს ვლინდება და აღმოიჩინება.

მართალია შტაიენტალმა და ლაცარუსმა ამ პროგრამის განხორციელება ვერ შეძლეს, მაგრამ მათი იდეა აიტაცა და შემდეგ განავითარა ვილჰელმ ვუნდტმა. მისი აზრით, მომწიფებული - განვითარებული ცნობიერების რეალურ შინაარსს ვერ ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია მოიცავს. უმაღლესი ფსიქიკური პროცესები უწინარეს ყოვლისა, აზროვნება ადამიანთა გაერთიანების ისტორიული განვითარების შედეგს წარმოადგენს და ამიტომ განსაკუთრებული მეცნიერების მიერ უნდა შეისწავლებოდეს. ვუნდტი უპირისპირდება ინდივიდუალური და ხალხურ-ეროვნული ცნობიერების პირდაპირი ანალოგიების ცდებს, რომლებსაც ადგილი მის წინამორბედებში ჰქონდათ. როგორც ინდივიდის ცნობიერება არ დაიყვანება შეგრძნებების და გრძნობების ამოსავალ - საწყის ელემენტებზე, არამედ წარმოადგენს მათ შემოქმედებით სინთეზს, ისე ეროვნული - სახალხო ცნობიერება ინდივიდუალურ ცნობიერებათა შემოქმედებითი სინთეზია, რის შედეგადაც წარმოიქმნება ახალი რეალობა, რომელიც თავს ზეპიროვნული საქმიანობის პროდუქტებში - ენაში, მითებში და მორალში ავლენს. მათ გამოკვლევას ვუნდტმა მთელი თავისი ცხოვრების 20 წელი მიუძღვნა. ამ შრომის იდეებმა განხორციელება "ხალხთა ფსიქოლოგიის" ათტომეულში ჰპოვეს.

როგორც მისმა წინამორბედებმა, ისე ვუნდტმაც თავისი პროგრამის რეალიზება ვერ შეძლო. ისტორიულ-კულტურული და ეთნოგრაფიული მასალა მარტივ ფსიქოლოგიურ სქემებში ვერ ეტეოდა. მით უფრო, რომ ვუნდტს ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის კანონთა უნივერსალობის დასაბუთება სურდა, საქმეც ისაა, რომ ამავე დროს ცდილობდა ამ კანონებისათვის ეროვნული - სახალხო სულის (გონის) ზეინდივიდუალური რეალობა დაექვემდებარებინა. ერთ-ერთ შრომაში ვუნდტი კიდეც წერდა: "თავიდანვე გამორიცხულია, რომ ხალხთა - ეროვნულ ფსიქოლოგიაში აღმოჩნდეს რომელიმე უზოგადესი კანონი, რომელიც ინდივიდუალური ცნობიერების კანონებში" მთლიანად

არ იქნებოდა უკვე შესული. საზოგადოებრივი ცნობიერების ცალკეულ ფორმებს ვუნდტი როგორც "ფსიქო - ლოგიკურ" და არა როგორც "სოციო - ლოგიკურ მოვლენებს" განიხილავს. ასე, მაგალითად, ენის კანონებს იგი წარმოდგენათა ასოციაციის კანონთა ანალოგიურად გვიხსნის, მითებს - როგორც გრძნობათა მიერ წარმოდგენათა დამუშავების შედეგს, ხოლო მორალს - როგორც ცნობიერების პირველად ელემენტებთან ნების შეერთების შედეგს გვიხსნის.

"ხალხთა ფსიქოლოგია" ინდივიდუალური ცნობიერებისა და კულტურის ურთიერთქმედების კონცეპტუალიზაციისა და კონკრეტული კვლევის დასაწყისის ერთ - ერთი პირველი ცდა იყო. უწინარეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ლინგვისტურ, ისტორიულ - ფილოლოგიურ და ანთროპოლოგიურ გამოკვლევათა დაახლოებაზე განწყობა უკვე ფასეული იყო. "ხალხთა ფსიქოლოგიაში" სავსებით საფუძვლიანად თავიანთ ამოსავალ საწყისს დებულებებს ისტორიული ფსიქოლოგია და კულტურული ანთროპოლოგიაც, ეთნოფსიქოლოგიაც და თვით სოციო - და ფსიქოლინგვისტიკაც კი პოულობენ. მაგრამ მისი გავლენა ყველაზე მინიმალური სწორედ სოციოლოგიაში იყო. ინდივიდუალური ცნობიერებისა და კულტურის თანაფარდობის თეორიული პრობლემა "ხალხთა ფსიქოლოგიაში" პრინციპულად გადაუჭრელი დარჩა, ხოლო აღწერილ მასალას ამხსნელ კონცეფციებთან საერთო არაფერი ჰქონდა.

## 4. ჯგუფის ფსიქოლოგია და მიბაძვის თეორია

XIX ს - ის დასასრულს ცხადი გახდა, რომ ინდივიდის ფსიქოლოგია და აბსტრაქტული "სახალხო გონი-სული" უუნარონი არიან სოციალურ მოვლენათა გასაღები მოგვცენ. აქედან გასაგებია ჯგუფური, მასობრივი ქცევების და იმ ფსიქოლოგიური და სოციალური მექანიზმების უშუალო შესწავლისადმი ის მზარდი ინტერესი, რომლებიც სოციალურ ნორმათა და რწმენათა გადაცემას და ინდივიდთა ერთი მეორესთან ადაპტაციას შესაძლებელს ხდიან.

XX ს - ის დასაწყისში დიდი პოპულარობა მოიპოვა ფრანგი პუბლიცისტის, განათლებით ექიმის, გუსტავ ლებონის (1841 - 1931) წიგნებმა, კერძოდ 1895 წელს გამოცემულმა"ბრბოს ფსიქოლოგიამ". (რუსული თარგმანი: "მასებისა და ხალხთა ფსიქოლოგია" - 1896 წ.). ლებონამდე კი აღსანიშნავია მასების ირაციონალურობის შესახებ იდეის ფართო გავრცელება როგორც პოზიტივისტურ (ი. ტენის მოსაზრებები,

განსაკუთრებით ფრანგული რევოლუციის მისეული განმარტება) ისე ანტიპოზიტივისტურ (ნიცშე) ფილოსოფიაში. იტალიელმა კრიმინოლოგმა ს. სიგელემ (1868-1913) თავის წიგნებში "დანაშაულებრივი ბრბო" 1891 (რუსული თარგმანი - 1894 წ.) და "სექტათა ფსიქოლოგია" 1895 წ. ამ იდეას ფსევდომეცნიერული დასაბუთება მისცა. „ადამიანი თავისი ბუნებით, _ წერდა იგი, - სასტიკი და დამნაშავეა. რაციონალური თვითკონტროლის შესუსტება, რომელიც გარდაუვალია ბრბოში, ამ ინსტინქტებს აღვირს ხსნის, ინდივიდის შთაგონებადობას და ბოროტების ადვილად ამთვისებლობას ამაღლებს და აძლიერებს. ყველაზე ნათლად ეს იდეები გამოთქვა გ. ლებონმა, რომელმაც ამით, როგორც უკვე ავღნიშნეთ ფართო პოპულარობა მოიპოვა. მისი აზრით, ევროპული საზოგადოება თავისი განვითარების ახალ პერიოდში "ბრბოს ერაში" შედის, როდესაც პიროვნებაში განხორციელებული გონიერი კრიტიკული საწყისი ირაციონალური მასობრივი ცნობიერების მიერ ითრგუნება. "ბრბო" ანუ "მასა" ესაა "ერთ ადგილზე თავმოყრილი და საერთო გრძნობებით გასულიერებული (შთაგონებული) ჯგუფი, რომელიც მზადაა ყველაფერში დაემორჩილოს თავის ლიდერს, გაყვეს იქ, სადაც ამ ლიდერს სურს. მასობრივი ცნობიერების აბობოქრებული - გამძვინვარებული სტიქიის დაუფლება არანაირ რაციონალურ ძალას არ ძალუძს". ლებონი ხაზს უსვამს, რომ ბრბოში თითოეული ადამიანის აზრთა მსვლელობა ბრბოს საერთო განწყობილებით წარიმართება, რაც უფრო დიდ ხანს რჩება ადამიანი ბრბოში, მით უფრო სუსტი აქვს მას რეალობის გრძნობა და მით უფრო განიცდის იგი ლიდერის გავლენას. ლიდერთა შორის ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც მკვეთრად გამოხატული ფსიქიკური გადახრის ნიშნები აქვთ. ამ პოზიციებიდან ლებონი ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას და განსაკუთრებით სოციალიზმს მკაცრად აკრიტიკებს. "ბრბოს ფსიქოლოგიის ცოდნა დღეს იმ უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენს, რომელსაც ფლობს სახელმწიფო მოხელე - არა იმისთვის, რათა მართოს მასები, რადგან ეს უკვე შეუძლებელია, არამედ იმისთვის, რათა მათ თავის თავზე ძალიან ბევრი თავისუფლება არ მისცეს".

გ. ლებონის მიერ "ბრბოს ადამიანის" - ანონიმურობის, ფსიქიკური გადადების (დასნებოვნების) და შთაგონების თეორიული პრობლემების დაყენებამ სერიოზულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს მძლავრი ბიძგი მისცა, მაგრამ მთლიანობაში ლებონის თეორია მეცნიერულად სუსტი და უსუსურია. უწინარეს ყოვლისა, მის მიერ გატარებული, ხალხთა მასებისა და ირაციონალური "ბრბოს" გაიგივება არ არის სწორი. ლებონის "იდეალური ბრბო", ე.ი. ინდივიდთა სავსებით შემთხვევითი და ამორფული თავყრილობა, ყოველ შემთხვევაში როგორც სოციალურად მნიშვნელადი ძალა, და არა როგორც ქუჩის უქნარათა უბრალო ჯგრო, გროვა, პრაქტიკულად შედარებით იშვიათად გვხვდება. "ესაა სოციალ - ფსიქოლოგიური ერთობის ყველაზე პირველი და ყველაზე დაბალი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ საწყისი ფორმა". თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგები ლებონის კონცეფციის სხვა ნაკლსაც აღნიშნავენ. ამოსავალ ცნებათა

უკიდურეს ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას, ირაციონალიზმს, რაციონალური ინდივიდის იდეალიზირებული სახისადმი ბრბოს დაუსაბუთებელ დაპირისპირებას. ტერმინთა შეცვლას, რის შედეგადაც დანაშაულებრივი ხროვის ქცევაზე დაკვირვება ჯგუფური ქცევის თვისებრივად სხვა ფორმაზე გადაიტანება - ექსტრაპოლირდება: "კოლექტიური სულის თვითნებურ პოსტულირებას(დაშვებას), დასაბუთების _ არგუმენტირების არასისტემატურ ხასიათს, რომლებიც უფრო აპრიორული თეზისის ილუსტრირებას ემსახურება".

XIX - ის და XX - ის დასაწყისის ჯგუფის ფსიქოლოგია მხოლოდ ამ ტიპის სპეკულატიური მსჯელობებით არ ამოიწურება. არა მხოლოდ ამორფულ "ბრბოს", არამედ კონკრეტულ ადამიანურ ჯგუფებს, დიადებს და ტრიადებს, აგრეთვე პიროვნებათშორისი ურთიერთობების თვით ისეთ პროცესებს იკვლევენ, როგორებიცაა ფსიქიკური გადადება (დასნებოვანება), შთაგონება, მიბაძვა.

ეს ორიენტაცია ბჭობისათვის ფრიად განსხვავებულ წყაროებს იყენებს, მაგალითად, ისეთებს, როგორებიცაა: ჰიპნოზის ექსპერიმენტალური გამოკვლევები, ბავშვთა მიბაძვით საქმიანობაზე დაკვირვებები, ეთნიკური გამოკვლევები, დაკვირვებები მასობრივი ფსიქოლოგიის ისეთ მოვლენებზე, როგორებიცაა მოდა ან პანიკა. ამ სახით პირველი გამოკვლევები არც მეთოდოლოგიური და არც კონცეპტუალური სიმკაცრით არ გამოირჩეოდნენ. ავტორთა ერთი ჯგუფი (ნ. მიხაილოვსკი) თვლის, რომ ფუნდამენტური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა სოციალური ქცევის ერთსახოვნებასა და ჯგუფებად მათ გაერთიანებას - ფსიქიკური გადადება - დასნებოვანებაა (заражение), მეორე ჯგუფი (ვ. ბეხტერევი, გ.ლებონი და სხვა) ამ როლს შთაგონებას ანიჭებენ, მესამენი (გაბრიელ დე ტარდი, ჯ. ბოლდუინი და სხვები) უპირატესობას მიბაძვას ანიჭებენ. ამ პროცესთა თანაფარდობასაც განსხვავებულად საზღვრავენ. თუ ა. ვიგურუ და პ. ჟუკელიე ფსიქიკურ გადადებას მიბაძვის ერთ - ერთ ფორმად თვლიდნენ, მაშინ ლებონი პირიქით, მიბაძვაში ფსიქიკური გადადების _ დასნებოვანების კერძო შემთხვევას ხედავდა. მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა შემთხვევებში კვლევის საგანი ჯგუფური პროცესები იყო, რომელთაც სპეციფიკური მეთოდოლოგიური და ონტოლოგიური სტატუსი მიეწერებოდა.

ამ სკოლის უდიდესი წარომადგენელი ფრანგი იურისტი და სოციოლოგი გაბრიელ დე ტარდი (1843-1904) იყო. ავტორი წიგნებისა "შედარებითი კრიმინოლოგია" (1886) "მიბაძვის კანონები" (1890) რუსული თარგმანი 1892 წ. "სოციალური ლოგიკა" (1895 რუსული თარგმანი - 1892წ.), "სოციალური კანონები" (1898 - რუსული თარგმანი 1906). "ეტიუდები სოციალურ ფსიქოლოგიაში": "შეხედულება და ბრბო - 1901, რუსული თარგმანი, "საზოგადოებრივი აზრი და ბრბო" 1902. გარდა ფილოსოფოსებისა

და სოციოლოგებისა, რომელთა შორის საჭიროა დავასახელოთ მონტესკიე, კონტი, სპენსერი, მილი, მის შეხედულებებზე დიდი გავლენა იტალიურმა კრიმინალისტურმა სკოლამ (ჩეზარე ლომბროზო, ენრიკო ფერი და სხვა) იქონია, მაგრამ იტალიელი კრიმინალისტების საპირისპიროდ რომელთაც დამნაშავეობა რასობრივი და გეოგრაფიული პირობებიდან გამოყავდათ, ტარდი გადამწყვეტ მნიშვნელობას სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ანიჭებდა.

მრავალი წლის მანძილზე ტარდი თავის უმცროს თანამედროვესა და ინტელექტუალურ მოწინააღმდეგე - ემილ დიურკემთან ეწეოდა კამათს. ორივე მოაზროვნე ბიოორგანულ თეორიებთან და უტილიტარიზმთან კამათში ჩამოყალიბდა, ორივე ეთნოგრაფიულ მონაცემებს და შედარებით მეთოდს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ორივე სოციალურ ნორმათა ბუნებით იყო დაინტერესებული, რამეთუ მათში საზოგადოების მაინტეგრირებელ - გამაერთიანებელ ძალას ხედავდნენ. მაგრამ ამ მსგავსების უკან ღრმა განსხვავებაც დგას. დიურკემისათვის საზოგადოება - სოციალური სისტემაა sui generis, რომლის პროდუქტიც ცალკეული - ერთეული ინდივიდია.

გ. ტარდი პირიქით, ნომინალიზმის პოზიციებიდან ამოდის, რომლისთვის საზოგადოება _ მხოლოდ ინდივიდთა ურთიერთზემოქმედების პროდუქტია. იგი , ბიოლოგიურ ორგანიზმთან ან მექანიკურ აგრეგატთან საზოგადოების ყოველგვარ ანალოგიას უნაყოფოდ თვლიდა. ცნობიერება - მისი სიტყვებით - მექანიკის პოსტულატია. ტარდი აგრეთვე საზოგადოებრის ევოლუციონისტურ მოდელს უარყოფს. სოციოლოგიის უბედურება - ტარდის მიხედვით ისაა, რომ იგი "საზოგადოების კანონებს" და "ისტორიის კანონებს" ერთმანეთში ურევს, მაშინ როდესაც პირველი - მოვლენათა კვლავწარმოების კანონები, მეორენი კი - მათი განვითარების კანონებია. ესაა კანონთა ორი განსხვავებული კლასი, თანაც მეორე კლასი გაცილებით რთულია და მხოლოდ პირველის საფუძველზე შეიძლება ფორმულირებულ იქნას.

აქედან კი - ევოლუციური მეთოდის ანალიტიკურით შეცვლა. სოციოლოგია - ეს "უბრალოდ კოლექტიური ფსიქოლოგიაა", რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე: 1. რა არის გამოგონებათა, წარმატებულ ინიციატივათა, სოციალურ ადაპტაციათა მიზეზი, რომელიც თავის მხრივ ბიოლოგიურ ადაპტაციათა ანალოგიურია და წარმოშობით უფრო რთულია? სხვაგვარად, რა არის გამოგონებათა, წარმატებულ ინიციატივათა ბიოლოგიური ადაპტაციების ანალოგიური და თავისი წარმოშობით მასზე არანაკლებ რთული სოციალური ადაპტაციის მიზეზი? 2. რატომაა, რომ სწორედ ამ და არა სხვა ინიციატივებმა გამოიწვიეს მიბაძვა, რატომაა, რომ მრავალ მაგალითთა შორის, რომლებიც მიბაძვის საგნად ვერ იქცნენ, სწორედ მათ მოიპოვეს უპირატესობა? სხვა სიტყვებით როგორია მიბაძვის კანონები? გ. ტარდი "ჯგუფური ცნობიერების" ან "ბრბოს სულის" ტიპის დამოუკიდებელ სულიერ - გონით არსებათა არსებობის პოსტულირების ყოველგვარ მცდელობას თანამიმდევრულად უარყოფს, და მსგავს დოქტრინებს მისტიციზმის გადმონაშთებად თვლის, მაგრამ სოციოლოგიის ინდივიდუალისტური

ფსიქოლოგიის საფუძველზე დააფუძნება მას შეუძლებლად მიაჩნიარ. სხვადასხვა "მე-ები" სავსებით ჰეტეროგენული (განსხვავებული) რომ ყოფილიყვნენ და არაფერი საერთო არ ჰქონოდათ ერთმანეთში, მაშინ როგორ შესძლებდნენ ისინი ურთიერთობას? და როგორ შეიძლებოდა მათ შორის წარმოშობილიყო ერთობა (общность) ცნობიერება? "კოლექტიური, ინტერ-მენტალური ფსიქოლოგია, ე.ი. სოციოლოგია შესაძლებელია, მხოლოდ იმიტომ, რომ ინდივიდუალური ინტრა - მენტალური ფსიქოლოგია შეიცავს ელემენტებს, რომლებიც ერთმა ცნობიერებამ შეიძლება გადაიტანოს და აცნობოს მეორეს. მიუხედავად ინდივიდებს შორის არსებული გადაულახავი უფსკრულისა, ეს ელემენტები შეიძლება შეერთდნენ და ერთმანეთს შეერწყან, და ამ დროს ჭეშმარიტი სოციალური ძალები და სტრუქტურები, აზრთა და შეხედულებათა მიმდინარეობები ან მასობრივი იმპულსები, ტრადიციები და ეროვნულ წეს-ჩვეულებები შექმნან".

გ. ტარდის მიხედვით, ელემენტარული სოციალური ურთიერთობა, ეს რწმენის ან სურვილის გადაცემა ან გადაცემის მცდელობაა. ამის უმარტივესი მოდელი ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაა, "საზოგადოება - ესაა მიბაძვა, ხოლო მიბაძვა - თავისებური სახის ჰიპნოზია", ყოველ სიახლეს - ინოვაციას იგი, ინდივიდუალური შემოქმედების პროდუქტად თვლის. ამ უკანასკნელის ერთადერთი წყარო ნიჭიერი პიროვნების წარმოსახვის შემოქმედებითი აქტია. სიახლის წარმატებული ადაპტაცია იწვევს გარემოებათა ტალღას, რომელიც "მიბაძვის" ფორმას იძენს. ტარდი მიბაძვის გზით სიახლეთა გავრცელების პროცესს, ცენტრიდან გამომავალი კონცენტრირებული წრეების სახით სქემატურად გვიხატავს. მიბაძვის ცენტრს აქვს უსასრულოდ გაფართოების ტენდენცია მანამ, სანამ სხვა ცენტრიდან მომავალ ტალღას არ შეეჯახება. მიბაძვის შემხვედრნი ნაკადნი ურთიერთს ებრძვიან, განმეორება იცვლება ოპოზიციით და მიბაძვათა "ლოგიკური დუელი" იწყება. ამის კერძო შემთხვევები ყოველი კონფლიქტი დაწყებული თეორიული კამათით და დამთავრებული ომით შეიძლება იყოს. ლოგიკურ დუელს შეიძლება სხვადასხვა შედეგი - დასასრული ჰქონდეს, მაგრამ ასე თუ ისე ოპოზიციას ახალი ადაპტაცია ცვლის და სოციალურ პროცესთა მთელი ციკლი კვლავ ახლდება.

სოციოლოგიის ზოგად კანონებს, რომლებიც სამივე ბაზისურ სოციალურ პროცესს - ადაპტაციას, განმეორებას და ოპოზიციას - მოიცავს, ტარდი ლოგიკურ და გარელოგიკურ კანონებად ყოფს. ლოგიკური კანონები გვიხსნიან, რატომ ვრცელდება ერთი სიახლე და მეორე არა, რამდენად მომწიფდა მოცემული სიახლის მოთხოვნილება, ეთავსება თუ არა იგი უკვე არსებულ ცოდნასა და წარმოდგენებს (ლოგიკური კავშირი), თუ მათთან კონფლიქტში მოდიან (ლოგიკური დუელი). გარელოგიკური კანონები გვიჩვენებენ, თუ როგორ მიმდინარეობს მიბაძვის პროცესი: მაგალითად იმას, რომ იგი ცენტრიდან პერიფერიებისაკენ, უმაღლესიდან უმდაბლესამდე, მიზნებიდან საშუალებებისაკენ მოდის.

თუმცა ტარდი თავის თეორიას როგორც დედუქციურს აგებდა, მიუხედავად ამისა, იგი კვლევის ემპირიულ მეთოდებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სოციოლოგიას მისი სიყვებით თავის განკარგულებაში ორი მთავარი მეთოდი - არქეოლოგიური და სტატისტიკური აქვს. არქეოლოგიური მეთოდი (ძნელი არაა მასში ისტორიული მეთოდის აღწერა დავინახოთ) დაფუძნებულია ისტორიული დოკუმენტების ანალიზზე და კონკრეტული სიახლეებისა და ნიმუშების გავრცელების პერიოდებისა და არეალის შესწავლას ემსახურება. სტატისტიკური მეთოდი მიბაძვის მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, მსგავსი მიმბაძველობითი აქტების გაანგარიშებათა და მიბაძვების ნაკადთა გავრცელების მრუდის შესადგენად გამოიყენება. თვითმკვლელობათა, დანაშაულთა, სარკინიგზო გადაზიდვის, ვაჭრობის სტატისტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს სიახლეთა იმიტაციურ-მიმბაძველობით ძალთა რაოდენობრივი გამოხატულება ვიპოვოთ, მისი გავრცელების კეთილსასურველი დაარასასურველი შედეგები გამოვარკვიოთ და საბოლოო ანგარიშით სტიქიური სოციალური (მიმბაძველობითი) პროცესები კონტროლს დავუქვემდებაროთ. საზოგადოების შესასწავლად "რიცხვისა და ზომის" ფართოდ გამოყენებაში ხედავდა ტარდი სოციოლოგიის განვითარების მაგისტრალურ ხაზს. ტარდის სოციალ-სტატისტიკური გამოკვლევები, კერძოდ დანაშაულებათა საკითხებში, მის თანამედროვეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, რომლის შესასწავლადაც ტარდმა გამოყო თავისი თეორიული დებულებები, საზოგადოებრივი აზრი და "ბრბოს ფსიქოლოგია" იყო. თავისი იდეებითა და ცნებებით ტარდის წიგნი " შეხედულება და ბრბო" გვაგონებს ლებონს, მაგრამ ტარდი ინდივიდთა გარეთ ან ზევით არსებული სუბსტანციური " კოლექტიურის გონის" ცნებას აკრიტიკებს. იგი არ ეთანხმება ლებონს იმაშიც, რომ XX საუკუნე "ბრბოს საუკუნეა", ტარდის აზრით, იგი უფრო პუბლიკის – ხალხის საუკუნეს წარმოადგენს, რაც სავსებით სხვა საქმეა.

"ბრბოსა" და "დამნაშავეთა სექტის" აღწერაში ტარდი, ისევე როგორც მისი წინამორბედნი, ბელადთა მოთხოვნიელებას, ირაციონალურობას, მიმზიდველობას უსვამს ხაზს. იგი არა აღნიშნულ, არამედ საზოგადოებრივი აზრის დიფერენციაციის პროცესს და ამ საფუძველზე პუბლიკის ჩამოყალიბებას აქცევს ყურადღებას. ბრბოსგან განსხვავებით, რომლის ფსიქიკური ერთიანობა პირველ რიგში ფიზიკური კონტაქტით იქმნება, პუბლიკა "წმინდა სულიერ – გონით ერთობას წარმოადგენს, რომლის დროსაც ინდივიდები ფიზიკურად გაშორიშორებულნი არიან, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ესაა არა იმდენად ემოციური, რამდენადაც ინტელექტუალური ერთობა, რომლის საფუძველში შეხედულებათა ერთობა ძევს: შეხედულება – აზრი პუბლიკისათვის (საზოგადოებისათვის) ჩვენს დროში იგივეა, რაც სული სხეულისათვის".

უდგება რა პრობლემას ერთდროულად როგორც ანალიტიკურად, ისე ისტორიულად, ტარდი აკვირდება პუბლიკის ჩამოყალიბების ეტაპებს, და იგი ახალი დროის პროდუქტად მიაჩნია. პუბლიკის წინაისტორია მე-18-ე საუკუნის სალონებსა და კლუბებშია, მაგრამ მისი ნამდვილი ისტორია გაზეთების გამოსვლით იწყება, თუ ბრბოში პიროვნება ნიველირდება - უფასურდება, მაშინ პუბლიკაში იგი, პირიქით, თვითგამოხატვის – თვითდადგინების შესაძლებლობას იღებს. ამიტომ ურთიერთობის საშუალება, სრულყოფა ხელს უწყობს აგრეთვე პიროვნების გართულება – გამრავალფეროვნრბას და გამდიდრებას, მით უფრო, რომ საზოგადოებაშიარა ერთი, არამედ პუბლიკის რამდენიმე განსხვავებული სახე არსებობს.

ტარდი არ იფარგლება მხოლოდ ამ ზოგადი მოსაზრებებით, იგი აზრობრივ კომუნიკაციებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმების, კერძოდ საუბრის ფრიად ზედმიწევნით ანალიზს გვაძლევს. ტარდის დაკვირვებებმა მრავალ რამეში წინასწარ განჭვრიტეს მასობრივ კომუნიკაციათა თეორიისა და ურთიერთობების ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის შემდგომი განვითარება. ტარდის მოღვაწეობის მთლიანობაში შეფასებისას, უნდა ითქვას, რომ მან მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის დაყენებასა და გამოკვლევას ხელი შეუწყო. გეორგ ზიმელთან ერთად მან მეცნიერული კვლევის ცენტრშიპიროვნებათა შორის ურთიერთობისა და მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების პრობლემა დააყენა. ტარდს სავსებით დამსახურებულად თვლიან სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. სოციოლოგიის ისტორიისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ტარდის მიერ დაფუძნებულ ანალიტიკურ მეთოდს, ევოლუციონიზმის კრიტიკას, ეკოლოგიისა და ტექნიკის საკითხებისადმი ინტერესს. მართალია, ტარდის იდეების გავლენა საფრანგეთში დიდი არ ყოფილა, მაგრამ მისმა იდეებმა ფართო აღიარება ჰპოვეს აშშ-ში, ჯეიმს მარკ ბოლდუინი, ამოვიდა რა გენეტიკური ფსიქოლოგიის მონაცემებიდან, ტარდისგან დამოუკიდებლად იმავე შედეგებთან მივიდა. მას სოციოლოგიისა და სოციალურ ფსიქოლოგიაში თანამედროვე ავტორთაგან ერთ - ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და გამოჩენილ მეცნიერს უწოდებენ.

ამერიკულ ანთროპოლოგიაში კულტურულ-ისტორიული მიმართულების მეთაური ფრანც ბოასი (1858-1942) "მიბაძვის კანონებს" ერთ - ერთ ყველაზე გამოჩენილ წიგნად თვლიდა. ტარდის გავლენით ჩამოყალიბდა აშშ-ს ერთ - ერთი წამყვანი ფსიქო-სოციოლოგის ედვარდ როსის კოცეფცია, მაგრამ სოციოლოგიის "ინტერმენტალურ ფსიქოლოგიაზე" დაყვანას საბოლოო ჯამში შევყავართ ჩიხში, რადგან მკვლევარის თვალთახედვის ველიდან გამოირიცხება მაკროსოციალური სტრუქტურა, რომლის ჩარჩოებშიც და რომლის გავლენითაც ყალიბდება პიროვნებათშორისი ურთიერთობანი. თუმცა სიახლეთა და გამოგონებათა თავის კლასიფიკაციაში ტარდი დიდ ყურადღებას უთმობს ტექნიკას, მაინც მასთან მატერიალური ურთიერთობანი ნაწილობრივ სულიერშია გათქვეფილი.

სოციალური პროცესის ფსიქიკური ურთიერთქმედების ჩარჩოებით შემოფარგვლისას, ტარდს არ შეუძლია თავიდან აიცილოს ლოგიკური წრე მათს ინტერპრეტაციებში – ფსიქოლოგია და ინდივიდთა ქცევა მას გარეგანი ნიმუშ-სიახლეების მიბაძვისაგან გამოყავს, ხოლო ამ სიახლეებს თავის მხრივ, როგორც ინდივიდთა შემოქმედებითი აქტივობის პროდუქტს განიხილავს. მიბაძვის ნიმუშთა წარმოშობას სოციოლოგიურად საერთოდ არ განიხილავს. მათი წყაროა – ინდივიდის წარმოსახვის შემოქმედებითი აქტი, ხოლო გამოვლენის მიზეზებს "ფესვები კი ინდივიდუალურ ლოგიკაში აქვს გადგმული".

ასეთი აშკარა იდეალიზმი, შოკში აგდებდა თვით "სუბიექტური სოციოლოგიის" ისეთ წარმომადგენელს, როგორც ნ. მიხაილოვსკი იყო, რომელიც ირონიულად აღიშნავდა, რომ „ზნეობრივი გადადების(დასნებოვნების) მკვეთრი გამოვლენის მოსამზადებული მომენტები, ტარდისათვის ზნეობრივ გადადებაზევე(დასნებოვანებაზე) დაიყვანება , ოღონდ ნელსა და წყნარზე, რომელიც ახალი იდეების პროპაგანდაში და ათვისებაში გამოიხატება.მ. ლუთერისა და თ. მიუნცერის სახელებით აღნიშნულ ისტორიულ ხდომილებას იმიტომ კი არ დაუკავებიათ თავისი ადგილი, რომ ფეოდალურ-კათოლიკური წყობის ლპობა აუტანელი გახდა, არამედ იმიტომ, რომ ლუთერის იდეები გავრცელდა."

"მიბაძვის თეორიის" ფსიქოლოგიური შინაარსიც სერიოზულად გააკრიტიკეს, ჯერ კიდევ ვუნდტმა მიაქცია ყურადღება ამ ცნების ბუნდოვანებას, რომელიც ყველაზე უფრო ასოციაციური პროცესიის ვულგარულ- ფსიქოლოგიურ აღწერას წარმოადგენს, რომელიც მიბაძვისასგან ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით განსხვავდება. ე. დიურკემი მიუთითებდა, რომ არ შეიძლება "ერთი და იგივე სიტყვით ავღნიშნოთ ის პროცესი, რომლის წყალობითაც ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს უმუშავდება კოლექტიური გრძნობა და ის, რომლისგანაც მიმდინარეობს ყოფაქცევის ზოგადი და ტრადიციული წესებისადმი ჩვენი ერთგულება- მიჯაჭვულობა და ბოლოს ის, რომელიც შეშინებულ ცხვრებს აიძულებს ჩახტნენ წყალში იმიტომ, რომ ერთ-ერთმა მათგანმა გააკეთა ეს. სავსებით სხვა საქმეა, გრძნობდე ერთად-ერთობლივად თაყვანს სცემდე აზრის, შეხედულების ავტორიტეტს ( თავს იხრიდნენ აზრის ავტორიტეტის წინაშე) და ავტომატურად იმეორებდე იმას, რასაც სხვები აკეთებენ".

ასევე პრობლემატურია ტარდის მიერ ფორმულირებული „კანონებიც", თეზისი, რომ მიბაძვა მოდის „შიგნიდან გარეთ", დაკავშირებულია თეორიასთან, რომელსაც ქცევის აქტი გაცნობიერებული მოტივიდან გამოყავს. მაგრამ ხშირად ახალი ნიმუშის მიბაძვა ან ათვისებასწორედ გარეგნული, ზედაპირული ნიშნებისაგან იწყება, ხოლო ცნობიერება მხოლოდ შემდგომ ექცევა უკვე ჩამოყალიბებულ ექსპრესიულ ფორმაში. „ კანონი", რომლის მიხედვითაც მიბაძვა ყოველთვის "ზევიდან ქვევით" მომდინარეობს. მართალია მრავალი ფაქტით მტკიცდება, მაგრამ მაინც არ არის უნივერსალური, ვინაიდან საზოგადოების სტრატიფიკაციული სისტემის უცვლელობის იდეას ეყრდნობა.

საზოგადოდ ცნობილია, რომ მრავალი სიახლე - ინოვაცია კულტურის სფეროში სწორედ დაბალ ფენებში წარმოიშვა, ხოლო შემდეგ ათვისებულ იქნა ძლიერთა ამა ქვეყნისა მიერ. (საკმარისია ქრისტიანობის გახსენება).

მიბაძვის თეორია გადის ინტრაფსიქიკური პროცესების ჩარჩოებისაგან, რამეთუ სოციოლოგიური კვლევის საგნად და ერთეულად აქცევს არა ცალკე აღებულ ინდივიდს, არამედ პიროვნებათშორისი ურთიერთქმედების პროცესს, მაგრამ როგორც ჩვენ ახლა დავინახეთ, ეს ურთიერთქმედება მას კიდევ უფრო გარეგნული და მექანიკური სახით ესმის.

## 5. ინტერაქციონიზმის წარმოშობა

ზემოაღნიშნული სიძნელისა და სისუსტის გადალახვის ცდას ფსიქოლოგიზმის ორგანიციზმთან შეერთების გზით აშშ-ი ჩასახული ინტერაქციონისტული ორიენტაცია წარმოადგენს. მისი ყურადღების ცენტრში ინდივიდთა ურთიერთქმედების პროცესი დგას (აქედანაა კიდეც მისი სახელწოდება). მაგრამ თვით პიროვნება, როგორც ურთიერთქმედების სუბიექტი გაგებულია არა როგორც აბსტრაქტული ინდივიდი, არამედ როგორც სოციალური არსება, რომელიც განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფებს მიეკუთვნება და რაღაც სოციალურ როლს ასრულებს. ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირება ადგილს მათი ურთიერთგამსჭვალვისა და შეღწევის იდეას უთმობს.

ფილოსოფიური აზრით, ეს იდეა რასაკვირველია, არ ყოფილა ახალი ფსიქოლოგიაში. მისი პირველი განხორციელება უ. ჯეიმსის (1842-1910) თეორია იყო. აზროვნების, ემპირიული "მე-ს" შინაარსის, როგორც "ყოველივე იმის საერთო ჯამის, რასაც ადამიანმა შეიძლება თავისი უწოდოს" განხილვისას, უ. ჯეიმსი ემპირიული "მე-ს" შინაარსში სამ ელემენტს გამოყოფდა:

1. მატერიალური "მე", რომელიც თავის თავში მოიცავს სხეულს(გარეგნობა), ჩაცმულობას(ტანსაცმელს), ოჯახს, საკუთრებას;
2. სოციალური "მე", ე.ი. აღიარება, რომელსაც ინდივიდი გარშემომყოფთაგან იღებს, რამდენადაც ჩვენი გარემოცვა არაერთგვაროვანია, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს იმდენი განსხვავებული სოციალური "მე" აქვს, ადამიანთა რამდენი განსხვავებული ჯგუფი არსებობს, რომელთა აზრსაც და შეხედულებასაც იგი აფასებს, თუ დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის;
3. "სულიერ-გონითი" "მე", ე.ი. ფსიქიკური უნარებისა და მიდრეკილებების ერთობლიობა.

ამ კონცეფციის მთელი მეთოდოლოგიური გულუბრყვილობის მიუხედავად, პიროვნების სტრუქტურაში და მის თვითცნობიერებაში სოციალური მოტივების ჩართვა ფრიად ნაყოფიერი იყო. შემდგომი ნაბიჯი ამ მიმართულებით თანამედროვე გენეტიკური ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჯეიმს მარკ ბოლდუინმა (1861-

1934) გადადგა, რომელიც ავტორია წიგნების "ბავშვისა და რასის სულიერი განვითარება"- 1885 წ. "სულიერი განვითარების სოციალური და ეთიკური ინტერპრეტაცია"- 1887 წ. ბოლდუინის კონცეფციის ზოგადი პრინციპები ძალიან ახლოსაა ტარდის თეორიასთან, მაგრამ თუ სოციოლოგი ტარდი ჯგუფური პროცესებიდან პიროვნებისაკენ მიდის, მაშინ ფსიქოლოგი ბოლდუინი პიროვნებიდან საზოგადოებისაკენ მოძრაობს(მიდის). ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, წერდა იგი, სოციალური ორგანიზაცია თვითცნობიერების ორგანიზაციას ემთხვევა. პიროვნებისა და მისი თვითცნობიერების სტრუქტურა, ბოლდუინის აზრით, უბრალოდ კი არ "ასახავს" საზოგადოების ორგანიზაციას, არამედ მისი იგივეობრივია.

ამ პრობლემის სოციოლოგიური ასპექტი მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორმა ჩარლზ ჰორტონ ქულმა (1864-1929) გამოიკვლია. თავის მიდგომას იგი "ორგანულს" უწოდებდა არა ბიოლოგიური ორგანიზმის აზრით, არამედ იმიტომ, რომ იგი პიროვნებისა და საზოგადოების თავდაპირველი ერთიანობის აღიარებისაგან ამოდის. ორგანული თვალსაზრისი მთელის ერთიანობას და ინდივიდის განსაკუთრებულ ღირებულებას ერთდროულად უსვამს ხაზს. ჯგუფის სოციალური ცნოებიერების და ინდივიდის ცნობიერების ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე (იზოლირებულად) განხილვა ისევე უაზრობაა, როგორც მთელი ორკესტრის მუსიკის ცალკეულ ინსტრუმენტთა ჟღერადობა-ხმისადმი დაპირისპირება. "პიროვნება" და საზოგადოება" არის არა სხვადასხვა – განმასხვავებელი არსება, არამედ ადამიანურ ურთიერთქმედებათა ცოცხალი პროცესის შესწავლის სხვადასხვა ასპექტები, პროცესისა, რომელიც შეიძლება პიროვნების, მისი თვითცნობიერების, სოციალური "მე"-ს დინამიკის მხრივ, ან საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ურთიერთობების ფიქსირებულ ტიპთა მხრივ იქნეს განხილული.



ჩ. ქული როგორც "ნომინალისტურ", ისე "რეალისტურ" უკიდურესობებისაგან თანაბრად გაიმიჯნა. "შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საზოგადოება – რაღაცა უფრო მეტია, ვიდრე ინდივიდთა ჯამი? გარკვეული აზრით – კი. სოციალურ მთელში არსებობს ცხოვრებისეული პროცესის ორგანიზაცია, რომელსაც თქვენ ცალკეულ ინდივიდებში ვერ აღმოაჩენთ. საზოგადოების მთლიანობაში გასაგებად ცალ-ცალკე მათი შესწავლისა და შემდეგ მათი შეჯამების მცდელობას, გარდაუვალობით შევყავართ ჩიხში – ესაა "ინდივიდუალიზმი" ამ სიტყვის ყველაზე ცუდი აზრით.

თავისი პირველი ნაშრომი "ადამიანური ბუნება და სოციალური წესრიგი" (1902). ჩ. ქულმა ცოცხალი სოციალური პროცესის ინდივიდუალური, პიროვნული ასპექტის შესწავლას მიუძღვნა. მეორე ნაშრომში "სოციალური ორგანიზაცია" (1909), საზოგადოებას იგი უკვე სოციალური მთელის თვალსაზრისით განიხილავს, სიტყვა-

სიტყვით მისი ქვესათაური: "უფრო ფართო ცნობიერების კვლევა" იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადი ყურადღება მასში სწორედ საზოგადოებრივ ცნობიერებას ეთმობა, რომელიც ცალკეულ ინდივიდთა ცნობიერებაზე არ დაიყვანება, მაგრამ მისი პრინციპი აქაც და იქაც ერთი და იგივეა.

ადამიანური ბუნების თავის კონცეფციას ქული ინტიქტივისტურ და მექანისტურ ინტერპრეტაციებს უპირისპირებს. მისი აზრით შეუძლებელია ინსტინქტებს სოციალური ქცევის უნივერსალურ მოტივთა მნიშვნელობა მივანიჭოთ. საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალგვარი ფაქტები ასაბუთებენ ადამიანის ქცევის ცვალებადობას, ერთიანი კანონის არარსებობას, რომელიც მისი ქცევის მართველი იქნებოდა. ადამიანური ბუნება პლასტიკური და მოძრავია, იგი შეიძლება აიძულო იმუშაოს პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, თუ მის კანონებს სწორად გაიგებ.

ასევე არადამაკმაყოფილებელია „მიბაძვის" პრინციპის საფუძველზე პიროვნების ინტერპრეტაციაც. გაიმეოროს რაღაც უფროსების მიბაძვით, მაგალითად სიტყვა, ბავშვისთვის არა ნაკლებ ძნელია, ვიდრე ზრდასრული ადამიანისათვის საშუალო სიძნელის მუსიკალური პიესის დასწავლა. თანაც ბავშვის არსებობის პირველი წლის განმავლობაში მას უფრო ბაძავენ უფროსები, ვიდრე ის უფროსებს.

ჭეშმარიტად სოციალური არსების ნამდვილ და არსებით ნიშნად ჩ. ქული ჯგუფიდან საკუთარი თავის გამოყოფის, თავისი მე-ს გაცნობიერების, თავისი პიროვნების გაცნობიერებისს უნარსა და შესაძლებლობებს თვლის, მაგრამ თვითცნობიერების განვითარების მუდმივი და აუცილებელი პირობა – სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, სხვა ადამიანების მიერ თქვენს მიმართ გამოთქმული შეხედულებების ათვისებაა. "არ არსებობს მისი შესატყვისი „ჩვენის" გრძნობა, „ისინის" გრძნობის გარეშე". ქულისთვის ცნობიერი მოქმედება მუდამ სოციალური მოქმედებაა, ხოლო იმოქმედო რეალურად ნიშნავს შეუთავსო, შეუსაბამო შენი ქმედება საკუთარ მე-ზე არსებულ იმ წარმოდგენებს, რომლებიც სხვა ადამიანებში ყალიბდებიან. "როგორც არსებებს, ჩვენ გვაქვს თვალები, რომელიც მიმართულია საკუთარ გამოსახულებაძე წყალში, მაგრამ ჩვენ არ ვართ დარწმუნებული წყლის სიმშვიდეში, რომელშიც ჩვენ ჩვენს გამოსახულებას ვხედავთ". ჩვენი "მე" ყალიბდება იმ წარმოდგენების - შთაბეჭდილებების შეჯამების შედეგად, რომლებსაც როგორც ჩვენ გვგონია, ადამიანებზე ვახდენთ. ქულის "სარკისებური მე"-ს კონცეფციის თანახმად "მე" თავის თავში მოიცავს:

1. წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი ვგონივარ მე სხვა ადამიანს.
2. წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს სხვა ჩემს სახეს.
3. და ამ ორიდან გამომდინარე სპეციფიკური თვითშეფასება: სიამაყის ან დამცირების სახით.

სოციალური ცნობიერების ყოველი აქტი, ქულის მიხედვით ერთდროულად თვითცნობიერების აქტია. ინდივიდს საზოგადოება გადაეშლება – ეხსნება მისი საკუთარი პიროვნების სულიერ ასპექტთა სახით. მაგრამ ინდივიდის ცნობიერება არ

ემთხვევა მთელი საზოგადოების ცნობიერებას. ეს უკანასკნელი გადის ადამიანის შინაგანი სამყაროს საზღვრებიდან. ესაა უფრო ფართო ცნობიერება, რომელსაც ქული ინდივიდუალური ცნობიერების საპირისპიროდ, ზოგჯერ "საზოგადოებრივი ცნობიერების" ტერმინით აღნიშნავს. საზოგადოებრივი ცნობიერების ერთიანობა არა მის ნაწილთა მსგავსებაში, არამედ მის შემადგენელ ნაწილთა ორგანიზაციასა, ურთიერთგავლენისა და მიზეზობრივ კავშირში მდგომარეობს". სოციალური ორგანიზაციის წყაროები კი "პირველად ჯგუფში" ძევს.

ქული პირველად ჯგუფს უწოდებს ინდივიდთა კოოპერაციას და ასოციაციას, რომლებიც ერთმანეთთან უშუალო ურთიერთქმედებაში იმყოფებიან. ადამიანთა მცირე წრე, რომელიც ინარჩუნებს მყარ, მჭიდრო ურთიერთობებს, როგორც წესი ინტიმურობით, ურთიერთგაგებით და სიმპათიით გამოირჩევიან. პირველად ჯგუფში შედიან პირები, რომელთა შესახებ შეიძლება ითქვას: „ჩვენ". პირველადი ჯგუფების მაგალითებია: ბავშვთა სათამაშო კოლექტივი, ოჯახი, მეზობლები. სწორედ აქ იძენს პირველად ინდივიდი სოციალური მიკუთვნებულობის გრძნობას და ზოგად იდეალებს ითვისებს. ქული პირველად ჯგუფს „ადამიანური ბუნების ბავშვობას" უწოდებს. მას კარგად ესმის, რომ პირველად ჯგუფები დიდი საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ, მაგრამ გარკვეული დოზით მის სულს – გონს ასახავენ, როგორც ის, რომ პირველად ჯგუფებში არსებობს არა მხოლოდ ჰარმონია, არამედ მეტოქეობაც, კონკურენციაც და მტრობაც, მაგრამ იგი ხაზს უსვამს იმას, რომ სწორედ პირველადი ჯგუფები შეადგენენ იმის საფუძველს, რაც ადამიანურ ბუნებაში უნივერსალურს წარმოადგენს და მათი "პირველობა" "უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ინდივიდის, მისი სოციალური ბუნების და იდეალების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ". ჩ. ქულის "სარკისებური მე-ს" თეორია, რომელიც განვითარდა ძველი ფილოსოფიური ტრადიციის კალაპოტში (იდეა, რომ თვითცნობიერება ყალიბდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საფუძველზე), ჯერ კიდევ ადამ სმიტთან არსებობდა. შემდგომ განვითარდა ჯორჯ ჰერბერტ მიდთან და ე.წ. სიმბოლურ ინტერაქციონიზმში. პირველადი ჯგუფის ცნებამ, რომელიც XX -ის 30 - იან წლებში მივიწყებული იყო, დღეს მცირე ჯგუფთა თეორიასა და სოციალიზაციის გამოკვლევებში კვლავ შეიძინა მნიშვნელობა. სოციალური პროცესის სუბიექტურ-პიროვნულ მხარეზე აქცენტი (ქულმა შენიშნა მისი პირობითობა) მასთან მატერიალურ, საგნობრივ ურთიერთობათა აშკარა უგულვებელყოფას ერწყმის. საქმე უბრალოდ არა იმგვარი ფორმულირებების სიუხეშეშია, როგორიცაა გამოთქმა: "საზოგადოება იდეებს შორის ურთიერთობაა". ქულის მეთოდოლოგია იმანენტურად – იდეალისტურია, რამდენაც მას სოციალური ურთიერთქმედება, რომლის პროცესშიც ყალიბდება თვით ცნობიერი პიროვნება, პრაქტიკულად ნებათაშორის ურთიერთობათა პროცესზე დაყავს, რომლისგანაც საქმიანობას, შრომას და მაკროსოციალურ სისტემასთან დამოკიდებულებას გამორიცხავს, რომლის ნაწილადაც ყოველი

პირველადი ჯგუფი ითვლება. თვით ჯ. მიდი რომელიც მაღალ შეფასებას აძლევდა ჩ. ქულის კონცეფციას, სოციალური ურთიერთქმედების ინდივიდთა შორის აზრთა გაცვლა- გამოცვლაზე(კომუნიკაციაზე) დაყვანის არამართლზომიერებას აღნიშნავდა. ქულის ფსიქოლოგიური ინტროსპექტივიზმი ჯ. მიდის სიტყვებით, სოლიფსიზმს ენათესავება, რამდენადაც საზოგადოება "არ არსებობს რეალურად ინდივიდის ცნობიერების მიღმა, ხოლო "მე"-ს ცნება, მთელი თავისი იმანენტური სოციალურობით წარმოსახვის პროდუქტს წარმოადგენს".

და ბოლოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯ. მიდის და მისი მიმდევრების შრომებში შემდგომ განვითარებული ინტერაქტიული ორიენტაციაც, რომელიც უშუალო პიროვნებათშორისი ურთიერთობების სოციალ - ფსიქოლოგიური გამოკვლევების ჩარჩოშია ნაყოფიერი, მაკრო-სოციალური პროცესების, კლასობრივი ურთიერთობის, პოლიტიკური ძალაუფლების ბუნების და ა.შ. ახსნისა და აღწერისათვის უნაყოფო აღმოჩნდა, სოციალური მოვლენებისადმი ფსიქოლოგიური მიდგომის პრინციპულ შეზღუდულობას ნათლად დავინახავთ.

## 6. ფსიქოლოგიური სოციოლოგია ისტორიულ პერსპექტივაში

როგორი იყო მეცხრამეტე - მეოცე საუკუნეების მიჯნაზე არსებული ფსიქოლოგიური სოციოლოგიის ძირითადი შედეგები?

ფსიქოლოგიური სოციოლოგიის ყურადღების ცენტრში საზოგადოებრივი (ჯგუფური, კოლექტიური) ცნობიერების, მისი ბუნების, სტრუქტურის და ფუნქციების პრობლემები იდგა. ჯგუფური, პიროვნებათაშორისი ურთიერთქმედების ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები და ფსიქოლოგიური მექანიზმები, როგორებიცაა: ფსიქიკური გადამდებობა, შთაგონება, მიბაძვა, აგრეთვე თავად ადამიანური პიროვნების სოციალური შინაარსი დეტალურად განიხილებოდა. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი საზოგადოებრივი აზრისა და მასობრივი კომუნიკაციების ჯერ თეორიულ, ხოლო შემდეგ ემპირიულ კვლევებს. საზოგადოების ბიოლოგიზაციაზე უარის თქმასთან ერთად ფსიქოსოციოლოგები ასევე ევოლუციონიზმის შეზღუდულობების გადალახვას ცდილობდნენ. მათმა თეორიულმა კონცეფციებმა სულ უფრო ანალიტიკური ხასიათი შეიძინა. ყოველივე ამის დადებითი შედეგი სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის შესაყარზე სოციალური ფსიქოლოგიის წამოშობა იყო.

მაგრამ ჯგუფური ურთიერთქმედების პროცესების, როგორც აუცილებლის, შესწავლა სრულებითაც ვერ ამოწურავს სოციალურის სფეროს და სოციოლოგიის სოციალურ ფსიქოლოგიაზე დაყვანას არანაირად არ ამარათლებს. ტარდისათვის სოციალური, საზოგადოებრივი, ანუ ინტერმენტალური ფსიქოლოგია, არსებითად სოციოლოგიის სინონიმია: რაიმე მიშვნელოვან განსხვავებებს მათ შორის იგი არ ატარებს. ლებონი, ბოლდუინი, მაკდუგოლი და ქული თავიანთ მდგომებს მონაცვლეობით ხან სოციალურ - ფსიქოლოგიურ, ხან სოციოლოგიურს უწოდებენ. სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის შერწყმის იდეას აქტიურ პროპაგანდას ამერიკელი სოციოლოგი ჩარლზ ელვუდი (1873 – 1948) უწევდა.

მეორე ამერიკელი სოციოლოგი, სოციალური ფსიქოლოგიის პოპულარული სახელმძღვანელოს ავტორი, ედვარდ ოლსუორთ როსსი (1866 – 1951) სოციალურ ფსიქოლოგიას სოციოლოგიის ნაწილად მიიჩნევს და ამ უკანასკნელს სოციალურ ფსიქოლოგიად, რომლის საგანი ადამიანთა ასოციაციებში (გაერთიანებებში) წამოქმნილი ფსიქოლოგიური პროცესებია, და სოციალურ მორფოლოგიად, ე. ი. სოციალური ფორმების შესახებ მეცნიერებად ყოფდა.

თვით მაშინაც კი, როდესაც ყურადღება ზოგადსოციალურ ურთიერთობებსა და პრობლემებზეა (ქულის სოციალური ორგანიზაციის თეორია ან როსსის სოციალური კონტროლის თეორია) ისინი მაინც როგორც პიროვნებათაშორისი ურთიერთობების სპეციფიკურ ასპექტებად განიხილებიან.

საზოგადოებრივი ურთიერთობების „ინტერმენტალურ“ ურთიერთქმედებაზე, ხოლო სოციოლოგიის - სოციალურ ფსიქოლოგიაზე დაყვანა მეთოდოლოგიურად მცდარია. სოციალური, როგრც მარქსი ამბობდა, „პიროვნებათშორისზე“ არ დაიყვანება, რამდენადაც ადამიანები საზოგადოებრივ - წარმოებით ურთიერთობებში არა როგორც ინდივიდები, არამედ, როგორც კლასის წევრები მონაწილეობენ, და მათი სოციალური ფუნქციები, განსაზღვრული საზოგადოებრივი როლები არა მათი ადამიანური ინდივიდუალურობიდან საზოგადოდ, არამედ სოციალური სისტემის გარკვეული დანაწილებისაგან გამომდინარეობს. სწორედ ამ ვითარებას არ იღებენ მხედველობაში ფსიქოლოგიური სოციოლოგიის წარმომადგენლები.